მომსახურების შესყიდვის ხელშეკრულება #39

ქ.ტყიბული 22 ოქტომბერი 2013 წელი

ერთის მხრივ, სსიპ - ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ ცუცხვათის საჯარო სკოლის (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ირინა ბერეკაშვილის სახით და მეორეს მხრივ, ი/მ თეიმურაზ ჩაკვეტაძე სახით (შემდგომში - მიმწოდებელი) შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე_3 მუხლის „ს" ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია სკოლისთვის ზამთრის სეზონთან დაკავშირებით დახერხილი შეშის მიტანა, დაჩეხვა და შენახვა CPV 03413000 (საწვავი ხის მასალა) ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

შესასრულებელი სამუშაოს საერთო ღირებულება შეადგენს 2500 (ორიათას ხუთასი) ლარს და მოიცავს სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1 შესრულებული სამუშაო ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გამოწერის შემდეგ. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტისა და ანგარიშფაქტურის ხელმოწერაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების 6.1 პუნქტში მითითებული პირი.

3.2. მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის ხელმოწერასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია, წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.4. ანგარიშსწორება განხორციელდება წინასწარი გადახდით, (მიმწოდებლის მოთხოვნის შემთხვევაში შესაძლებელია წინასწარი ანგარისშწორების (ავანსის) გამოყენება, იმ ოდენობით, რა ოდენობითაც წარმოდგენილი იქნება გარანტია).

3.5. მიმწოდებლისთვის გადახდილი ავანსი ჩაითვლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული საერთო თანხის ანგარიშში.

მუხლი 4. სამუშაოს შესრულების ადგილი და ვადა

4.1. სამუშაოს შესრულების ადგილია შემსყიდველის ადგილსამყოფელი - ქ.ტყიბული, სოფელი ცუცხვათი

4.2. სამუშაო უნდა შესრულდეს ხელშეკრულების დადებიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი)

კალენდარული დღის განმავლობაში.

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.2. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;

ბ) სამუშაოების შესრულების პროცესში შეტყობინების მიღებისთანავე უზრუნველყოს უხარისხოდ შესრულებული სამუშაოს ან მისი ნაწილის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

მუხლი 6. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს სსიპ - ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ ცუცხვათის საჯარო სკოლის დირექტორი ირინა ბერეკაშვილი.

6.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე შესრულებული სამუშაოს ხარისხის შემოწმებას.

მუხლი 7. პირგასამტეხლო

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

7.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3 (სამ) პროცენტს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

მუხლი 8. ფორსმაჟორი

8.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

8.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

8.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი და გამოსაყენებელი სამართალი

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2013 წლის 22 ნოემბრის ჩათვლით.

მუხლი 11. სხვა პირობები

11.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად თითოეული მხარისათვის.

11.2 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

11.3 მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, თანხებით და რისკით.

მიმწოდებლის მხრიდან:

ი/მ თეიმურაზ ჩაკვეტაძე

ს/კ 41001023698

მომსახურე ბანკი: საქართველოს ბანკი

BAGAGE22

ა/ნ GE02BG0000000347877500

ტყიბული, ახობაძის ქუჩა # 12

შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან:

ტყიბული ცუცხვათის საჯარო სკოლა

ტყიბული,სოფელი ცუცხვათი

ს/კ 219634821

მომსახურე ბანკი: ლიბერთი ბანკი

LBRTGE22

ა/ნ GE70LB0121112517242000GEL

თეიმურაზ ჩაკვეტაძე

ირინა ბერეკაშვილი